

შორენა შურუსიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქცია ცივი ომის დროს

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყოფილ მოკავშირეებს შორის სამოკავშირეო ურთიერთობა წინააღმდეგობაში გადაიზარდა და მსოფლიოს ორ დაპირისპირებულ, დასავლურ და სოციალისტურ, ბანაკებად ჩამოყალიბებით დასრულდა. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის დაწყებული წინააღმდეგობა საერთაშორისო ურთიერთობებში ცივი ომის სახელით არის ცნობილი, რომლისთვისაც დამახასიათებელია გაძლიერებული მილიტარიზაციით და იდეოლოგიური ბრძოლით გამოხატული დაპირისპირება.

ამერიკის შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ე. წ. „ფსიქოლოგიური ომის“ მეთოდს მიმართავდა. აშშ-ში არსებობდა „ფსიქოლოგიური ომის“ განყოფილებები, რომლებიც ქვეყნის უშიშროების საბჭოს ექვემდებარებოდა.

ცივი ომის დროს შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში აშშ-ის ინტერესების სფეროში მოექცა საბჭოთა კავშირში შემავალი ერების ემიგრაციის ის ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაც მიმართული იყო ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. მათთან ურთიერთობის მიზნით ცივი ომის დასაწყისში აშშ-ში იქმნებოდა კომიტეტები, რომლებიც საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტატუსით მოქმედებდნენ და სახელმწიფოს (აშშ-ის) საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს ატარებდნენ. მათი საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის ხალხთა, ასევე აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ეროვნულ ენებზე მაუწყებელი რადიოსადგურების დაფუძნება. აღნიშნული კომიტეტების საქმიანობის შედეგად შეიქმნა რადიოები „ამერიკის ხმა“, „თავისუფალი ევროპა“ და „თავისუფლება“. 1947 წლიდან რადიო „ამერიკის ხმის“ რუსულენოვანი, მოგვიანებით კი სსრკ-ის დაპყრობილ ხალხთა სხვა ერების რადიო რედაქციები (1951 წლის 26 მაისს ეთერში გავიდა რადიო „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის პირველი გადაცემა) გა-

იხსნა. 1949 წელს დაფუძნდა რადიო „თავისუფალი ევროპა“. მისი მუშაობა ვრცელდებოდა აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის ქვეყნებზე. 1953 წელს დაარსდა რადიო „თავისუფლება“, რომელიც საბჭოთა კავშირში შემავალი ერების ეროვნული (რუსული, უკრაინული, სომხური, აზერბაიჯანული, ბელარუსული, ქართული, ჩრდილო-კავკასიური, თათარ-ბაშკირული, თურქესტანული და მოგვიანებით დამატებული ბალტიისპირეთის ქვეყნების) რედაქციებისგან შეგდებოდა [1, 2].

რადიო თავისუფლების დაარსებას წინ უძღოდა 1951 წლის დასაწყისში აშშ-ში დაარსებული „ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკული კომიტეტისა“ და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის დამყარება. მათი ერთობლივი მუშაობის შედეგად შეიქმნა რადიო-კომისია, რომლის წევრები იყვნენ: ნოე ცინცაძე, ა. ხაჯიბელი, ბორის ნიკოლაევსკი და სერგეი მელგუნოვი [2, 1]. კომისია ამერიკულ კომიტეტთან შეთანხმებით რადიოს დაარსებისათვის საჭირო საორგანიზაციო და ადინისტრაციული საკითხების გადაწყვეტაზე მუშაობდა. შედეგად 1953 წელს დაარსდა რადიო „თავისუფლება“ [3, 4]. თავიდან რადიოს „განთავისუფლება“ ერქვა, 1959 წელს დასახელება შეიცვალა და რადიო „თავისუფლება“ დაერქვა, ხოლო 1976 წელს რადიო „თავისუფლება“ და რადიო „თავისუფალი ევროპა“ გაერთიანდა. გაერთიანების შემდეგ რადიოს დაემატა ბალტიისპირეთის ქვეყნების რედაქციები. რადიოს მიზანი იყო საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა ეროვნულ ენაზე მომზადებული რადიოგადაცემებით „რკინის ფარდის“ გარღვევა და ბოლშევიკური რეჟიმის შიგნიდან რღვევა. გადაცემები ეფუძნებოდა გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მეცხრამეტე მუხლს [3, 4].

რადიო „თავისუფლების“ მუშაობას კოორდინირებას უწევდა „ამერიკული კომიტეტი“, რომელმაც 1964 წელს სახელწოდება შეიცვალა და „რადიო თავისუფლების კომიტეტი“ ეწოდა. სახელწოდების ცვლილება არ აისახებოდა მის საქმიანობაზე, ის კვლავ აგრძელებდა ანტიბოლშევიკური ორგანიზაციებისა და ემიგრანტების დახმარებას [4, 1].

დაარსებიდან 1972 წლამდე რადიო „თავისუფლებას“ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო (Central Intelligence Agency, CIA) საიდუმლოდ აფინანსებდა. რადიოსადგურებს (თავისუფლებას და თავისუფალ ევროპას) ჰქონდათ ძლიერი სარედაქციო ავ-

ტონომია. მას შემდეგ რაც, ამერიკელმა ჟურნალისტმა ჟურნალისტური გამოძიების ჩატარების შემდეგ გაასაჯაროვა ინფორმაცია ცენტრალური სადაზვერო სააგენტოს მიერ რადიოს დაფინანსების შესახებ, ხოლო გამოძიების შედეგად ეს ფაქტი დაადასტურა აშშ-ის სენატში ხანგრძლივი განხილვები დაიწყო. შედეგად რადიო „თავისუფლება“ კერძო კომპანიად დარეგისტრირდა, დაფინანსება აშშ-ის კონგრესის ღია ანგარიშზე გადავიდა. მაუნყებლობის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდებოდა არა პირდაპირ კონგრესის მიერ, არამედ ამ მიზნით სპეციალურად შექმნილი „საერთაშორისო მაუნყებლობის საბჭოს“ (Board for International Broadcasting (BIB)) [5] გზით. აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით მთავრობას რადიოს მართვასა და სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის უფლება არ ჰქონდა. ცივი ომის ბოლო ეტაპზე, პრეზიდენტ როლანდ რეიგანის ინიციატივით რადიოს დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა. აშშ-ის პრეზიდენტი მოუწოდებდა რადიოს ეროვნულ რედაქციებს ყოფილიყვნენ უფრო კრიტიკულები კომუნისტური რეჟიმის მიმართ.

რადიო „თავისუფლების“ ცენტრალური ოფისი მდებარეობდა ნიუ-იორკში, ხოლო რადიოსადგური და რადიოს ევროპული განყოფილება მიუნხენში იყო განთავსებული, ლილიენტალ შტრასეზე, ცოტა ხნით არაბელა შტრასეზე. ბოლოს რადიო „თავისუფლებისა“ და რადიო „თავისუფალი ევროპის“ გაერთიანების შემდეგ რადიო დაბინავდა ოეტინგენ შტრასეზე, 67-ე ნომერში. რადიოს საპატიო თავმჯდომარეები იყვნენ ამერიკის პრეზიდენტები ჰარბერტ ჰუვერი, ჰარი ტრუმანი, დუვაიტი ეიზენჰაუერი [6, 3]. მიუნხენშივე მდებარეობდა სსრკ-ის ტერიტორიაზე რადიოტალღების გამავრცელებელი სადგური.

რადიო თავისუფლების ქართული რედაქცია 1953 წლის 1 მარტს დაარსდა, ქართული გადაცემა იმავე წლის 18 მარტს გავიდა ეთერში [3, 4]. ცივი ომის დროს ქართული რედაქციის დევიზი იყო „ერისა და პიროვნების თავისუფლება“. პირველად ქართული გადაცემები ეთერში გადიოდა სალამოობით ოთხჯერ 15 წუთიანი პროგრამით, რომელიც ოთხჯერ მეორდებოდა დილით. ქართული პროგრამა მოგვიანებით გახდა 20 წუთიანი, შემდეგ 30 წუთიანი [3, 51] ბოლოს კი, 1965 წლიდან 1 საათიანი [6, 1].

როგორც უკვე ავლნიშნეთ, რადიო „თავისუფლების“ დაარსებაში „ქართული ეროვნული საბჭოს“ სახელით მონაწილეობდა სოციალ-დემოკრატი ნოე ცინცაძე, რომელიც ოფიციალურად არ ყო-

ფილა რადიოს თანამშრომელი, თუმცა აქტიურად იყო ჩართული რადიოს საქმიანობაში, მიმონერას ანარმოებდა რადიოს ამერიკელ ხელმძღვანელობასთან [6, 21].

ქართული რედაქციის თანამშრომლები იყვნენ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში წასული ქართველები და მეორე მსოფლიო ომის დროს საზღვარგარეთ დარჩენილი ქართველი ემიგრანტები. ქართული რედაქცია თავიდან 5 კაცისაგან შედგებოდა. ესენი იყვნენ: რაჟდენ არსენიძე, ნიკო იმნაიშვილი, დავით ურატაძე, ილია კუჭუხიძე, კარლო ინასარიძე [3, 11]. რადიოს ქართულ რედაქციას სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ: რაჟდენ არსენიძე, კარლო ინასარიძე და ჯანრი კაშია. რადიოს კორესპონდენტები ჰყავდა პარიზში, ლონდონში, ნიუ-იორკში. რედაქციის წევრები გადაცემების მოსამზადებლად მივილინებული იყვნენ: იერუსალიმში (ჯვრის მონასტერი), ათონის მთაზე (ივირონის მონასტერში), ბეთლემში, გოლგოთაზე, სტამბოლის ქართულ კათოლიკურ მონასტერში. რედაქციის წევრები მოგზაურობდნენ ქართველი ემიგრანტებით დასახლებულ ქალაქებში: პარიზში, ლონდონში, ნიუ-იორკში, ბუენოს-აირესში. ცივი ომის რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის თანამშრომლები იყვნენ ვალერიან ინსკირველი, იოსებ ჟორჟოლიანი, მოსე იმნაიშვილი, შალვა კალანდაძე, დავით პეკურიძე, გულნარა პატარიძე, მათე კერესელიძე, მარინე ობოლაძე, ნუგზარ შარია, ირაკლი გავაშელი, ზურაბ ნარსია, ამირან თარბა, ნოდარ ერისთავი, ელენე ლორთქიფანიძე, თენგიზ გულავა, ბიძინა რამიშვილი [3, 45-46]. რედაქციას ჰყავდა შტატგარეშე კორესპონდენტები (მედეა ურატაძე, ელენე მამულაიშვილი, ალექსი ჩხენკელი, ნიკო ნაკაშიძე, თამარ ბერიძე, პავლე სარჯველაძე, ალექსანდრე მანველიშვილი, ოთარ პატარიძე) [3, 2-3]. რადიოს თანამშრომლები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ემიგრაციაში დარჩნენ, საქართველოში მყოფი ახლობლების უსაფრთხოების მიზნით, ფსევდონიმებს იყენებდნენ¹ [3, 75].

რადიო „თავისუფლება“ დაფუძნდა კონკრეტული მიზნით, შესაბამისად მას ჰქონდა სამოქმედო დებულება. ჩვენს ხელთ არსე-

¹ კარლო ინასარიძე – ოთარ კეთილაძე, დიმიტრი მარშანია; იოსებ (სოსო) ჟორჟოლიანი – რეზო წიგნაძე; შალვა კალანდაძე – გივი იოსელიანი; გულნარა პატარიძე (ურატაძე) – ქეთევან მშვენირაძე (1993 წელს იყო რადიოს დირექტორი); ნუგზარ შარია – ალმას ჯიქია; ილია კუჭუხიძე – ალექო ლორია.

ბული რადიო „თავისუფლების“ სამოქმედო დოკუმენტებიდან პირველი, „ძირითადი საპროგრამო ხაზი“, შედგენილია 1956 წლის 29 ივლისს. ამ დოკუმენტის თანახმად მაუნყებლობის მიზანი და ამოცანები იყო: საბჭოთა კავშირის ხალხების განთავისუფლება კომუნისტური დიქტატურისაგან და დემკრატიული სისიტემის დამყარება; მსმენელების გამოყვანა საინფორმაციო იზოლაციიდან; მათში ეჭვისა და უკმაყოფილების გამონვევა, როგორც პირველი ნაბიჯები წინააღმდეგობრიობისა; მსმენელებში ცნობიერების ჩამოყალიბება, რომ მათი პრობლემების მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ კომუნისტური დიქტატურის განადგურებით და დემოკრატიული სისტემის დამყარებით; სისტემის წინააღმდეგ მებრძოლების გამხნეება და მათი მოსაზრებების გამყარება [1, 4]. იგივე ძირითადი მიზნებია დაფიქსირებული რადიოს 1965 წლის 15 მაისის დოკუმენტში „ძირითადი სახელმძღვანელო რადიო „თავისუფლების“ გადაცემების ძირითადი ხაზის შესახებ“ [4, 7]. მასში დამატებით საუბარია მიზნის მიღწევის მეთოდების შესახებ. კერძოდ ეს იყო, ზუსტი, უტყუარი და საინტერესო ინფორმაციის მიწოდება, საუბრები შიდა პრობლემებზე, საბჭოთა რეალობის კრიტიკა [4, 25]. რადიოს იმიჯი უნდა ყოფილიყო „სტუმარი სახლში“, ხოლო გადაცემები მეგობრული ტონის [4, 22].

რადიო „თავისუფლების“ საპროგრამო დოკუმენტებში დაფიქსირებულია პოზიცია XX ს-ის 50-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ემიგრაციაში აქტუალურად განხილული საკითხის – ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ. კერძოდ, რადიომაუნყებლობა აღიარებდა, რომ საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ერს აქვს თვითგამორკვევის უფლება [1, 15]. ქართველი ემიგრანტების ნაწილისთვის ამ უფლების გავრცელება საქართველოზე მიუღებელი იყო, რადგან ისინი თვითგამორკვევის უფლების აღიარებას, 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობაზე უარის თქმად მიიჩნევდნენ და ბოლშევიკური რეჟიმის დამარცხების შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის უპირობოდ აღდგენას მოითხოვდნენ, ყოველგვარი თვითგამორკვევის გარეშე.

რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქცია ხელმძღვანელობდა რადიოს ეროვნული რედაქციების ძირითადი სამოქმედო დოკუმენტის „პოლიტიკური სახელმძღვანელოს დამატებით“. მასში დეტალურად იყო განხილული ქართული რედაქციის მიზნები და მათი მიღწევის გზები. „პოლიტიკური სახელმძღვანელოს დამატე-

ბის“ მიხედვით ქართულ რადიოგადაცემების მიზანი უნდა ყოფილიყო ისეთი მოსაზრებების გამოთმა და მხარდაჭერა, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს საქართველოში დემოკრატიზაციის, სოციალური სამართლიანობის და ეროვნული თვითგამორკვევის პროცესი. ასევე მაში ნათქვამია, რომ „ქართული რედაქცია არ აკეთებს დასკვნებს, რადგან საბოლოო დასკვნების გამოტანა მხოლოდ საქართველოში მცხოვრებ ხალხს შეუძლია. რედაქცია სტიმულს აძლევს ქართველებს ჩაუფიქრდნენ საკუთარ ეროვნულ პრობლემებს და აწვდის მათ ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება დახმარება გაუწიოს გადაწყვეტილების მიღებაში“ [7, 2].

რადიო აქცენტს აკეთებდა იმ მსმენელებზე, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ გავლენა მოეხდინათ საზოგადოებრივ აზრზე, ასევე იმ პირებზე რომელთაც რეალურად შეეძლოთ გადაწყვეტილებების მიღება. ესენი იყვნენ: ახალგაზრდები, კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელები, მეცნიერულ-ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენცია, პარტიისა და სახელმწიფოს საშუალო რანგის ოფიციალური პირები, საქართველოს სსრ საკანონმდებლო ორგანოს წევრები, მრეწველობის მუშები და მათი ზედამხედველები [7, 3-4].

ყურადღება ექცეოდა რადიოგადაცემების წამყვანების მეტყველებას. მათ უნდა ესაუბრათ ისეთი ენითა და ტერმინებით, რომელიც ნაცნობი იქნებოდა მსმენელებისთვის, რომელსაც იყენებდნენ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და მოსახლეობა. საუბრის სტილს არ უნდა გამოეწვია მსმენელის გაუცხოება [7, 13-14].

რადიო „თავისუფლებაში“ არსებოდა „რადიომსმენელთა კვლევითი განყოფილება“, რომელიც გადაცემებისთვის წყაროებს აწვდიდა რედაქციებს. ინფორმაციის წყარო იყო: სსრკ-ში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები, ადგილობრივი ცენტრალური რადიო-სადგურების გადაცემები, სამეცნიერო ჟურნალები და წიგნები, დასავლეთის ქვეყნების კორესპონტენტების სტატიები. სხვადასხვა არაოფიციალური წყარო [7, 10]. სავარაუდოა, რომ არაოფიციალურად რადიო რედაქციებს ინფორმაციით უზრუნველყოფდა აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოც. ხდებოდა ინფორმაციის გადამონმება.

ყურადღება ექცეოდა გადაცემის შინაარსს და ფორმას. შინაარს განსაზღვრავდა საბჭოთა კავშირში და საქართველოში არსებული ვითარება, ქართველების მდგომარეობა, საჭიროება და ინ-

ტერესები. ძირითადი თემები იყო: 1. „ცხოვერბა კომუნისტურ ქვეყნებში“, რომელიც გულისხმობდა გადაცემების მომზადებას საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ყოფის საკითხებზე; 2. „ცხოვერბა დემოკრატიულ ქვეყნებში“, ამ თემის ფარგლებში განხილული იყო კანონის უზენაესობა, სიტყვისა და პრესის თავისუფლება, საზოგადოებრივი აზრის გავლენა, ადამიანის უფლებები, საბაზრო ეკონომიკა, ეროვნული უმცირესობების საკითხი და განათლება დასავლეთის დემოკრატიული სისიტემის სახელმწიფოებში [3, 173-176]. რადიოგადაცემების ციკლი ეძღვნებოდა საქართველოს ისტორიის საკითხებს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებზე, საქართველოს კონსტიტუციის მიღებაზე. საგანგებოდ აღინიშნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საიუბილეო თარიღები.

რადიოგადაცემები მოიცავდა ინტერვიუებს, რეპორტაჟებს, საუბრებს მრგვალ მაგიდასთან ინფორმაციის თავისუფალ გავრცელებაზე, ერისა და პიროვნების თავისუფლებაზე, მოკლე რადიოპიესებს, რადიოგადაცემებში კითხულობდნენ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ფილოსოფიურ ესეებს, მემუარებს, ენციკლოპედიები კულტურულ და პოლიტიკურ თემებზე. ცივი ომის დროს სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნები რადიო „თავისუფლების“ გადაცემების საშუალებით ეცნობოდნენ დისიდეტების მიერ გამოცემული არალეგალური „თვითგამოცემების“ მასალებს, კითხულობდნენ საქართველოში აგრძალული მწერლების ნაწარმოებებიდან ამონარიდებს, მათ შორის იყო გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება [3, 75].

რადიო „თავისუფლების“ საპროგრამო დოკუმენტის თანახმად რადიო არ უნდა ყოფილიყო პოლიტიკური ემიგრანტული ორგანიზაციის მხარდამჭერი ან მისი მიზნების განმახორციელებელი [7; 1, 15]. რიოგადაცემებში არ უნდა ყოფილიყო ისეთი მასალა, რომელიც მსმენელს საფუძველს მისცემდა რადიო განეხილა, როგორც რომელიმე ერთი ემიგრანტული პოლიტიკური პარტიის, ჯგუფის ან კოალიციის ხმა, ასევე რომელიმე დევნილი მთავრობის ან საზღვარგარეთის მთავრობებისა და ინტერესების გამტარებელი. რადიო ყოველთვის უნდა დარჩენილიყო დამოუკიდებელ დემოკრატიულ ხმად, რომელიც სსრკ-ის ხალხის ინტერესებით საუბრობს [1, 15].

ქართველი ემიგრანტების ნაწილი მიიჩნევდა, რომ რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის შემადგენლობა სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) იყო [7, 265; 9, 3-13], რადგან აქ მომუშავე თანამშრომლები ამ პარტიის წევრები ან მასთან დაახლოებული ემიგრანტები იყვნენ, ხოლო გადაცემები სოციალისტური იდეოლოგიის გამტარებელი [9, 3-13].

რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქცია 1985 წლამდე თანამშრომლობდა ქართულ პოლიტიკური ემიგრაციის ნაწილთან. რადიოგადაცემების სკრიპტები ეგზავნებოდა 1951 წელს ემიგრაციაში დაარსებულ ორგანიზაციას „ქართულ ეროვნულ საბჭოს“, რომელიც ამერიკულ კომიტეტთან აქტიურად თანამშრომლობდა რადიო „თავისუფლების“ დაარსების საკითხში. გადაცემებს უგზავნიდნენ ასევე, პერიოდულ გამოცემებს „ჩვენი დროშა“, „თავისუფლების ტრიბუნა“. 1985 წლიდან, როცა ჯანრი კაშია რადიოს ქართული რედაქციის მთავარი რედაქტორი გახდა, გადაცემების გაგზავნა შეწყდა. 1986 წლის 30 ივლისს „ეროვნულმა საბჭომ“ წერილით მიმართა რადიოს რედაქციას და სთხოვა კვლავ გაეგზავნათ მათთვის გადაცემების სკრიპტები და ორმხრივი ურთიერთობა აღდგენილიყო. საპასუხო წერილში „ქართულ ეროვნულ საბჭოს“ უარი უთხრეს თანამშრომლობაზე, იმ მიზეზით, რომ რადიო არ აიგივებდა თავის თავს, რომელიმე პოლიტიკურ ემიგრანტულ ჯგუფთან [3, 188-190].

რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის საქმიანობის შედეგად დღეს გვაქვს მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროს ფუნქციის მქონე მდიდარი დოკუმენტაცია და აუდიომასალა. რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის აუდიო არქივმა შემოინახა გიორგი კვინიტაძის, მიხაკო წერეთლის, ნოე ჟორდანიას, გრიგოლ რობაქიძის და სხვა ქართველი ემიგრანტების ხმა.

საბჭოთა კავშირში რადიო „თავისუფლებას“ ახასიათებდნენ როგორც „ცილისმწამებელს“ და „იდეოლოგიური დივერსიის“ გამხორციელებელს, რომელიც მიმართული იყო არსებული ხელისუფლებების წინააღმდეგ, საზოგადოების უკმაყოფილების ზრდისკენ, ოპოზიციის ფორმირებისაკენ, ეროვნული გამოყოფის იდეების ხელშეწყობისაკენ. რადიო „თავისუფლების“ გადაცემების მოსმენა საბჭოთა კავშირში შეუფერხებლად შეუძლებელი იყო. რადიოს სიხშირეს სპეციალური აპარატურით ახშობდნენ. 1955 წელს სსრკ-ში შეიქმნა და მოგვიანებით გაფართოვდა დასავლური რადიო სადგურების ჩახშობის ქსელი. იმ პირობებში როცა რადიოს სიხშირეს

საბჭოთა კავშირში ახშობნენ ქართული რედაქცია მიმართავდა შემდეგ ტაქტიკას: წინადადებები იყო მოკლე და „შეკუმშული“, ხდებოდა ნათქვამის რამდენჯერმე გამეორება. სსრკ-ში რადიო „თავისუფლების“ გადაცემების ჩახშობა შეწყდა მიხეილ გორბაჩოვის მიერ დანყებული „გარდაქმნის“ დროს. დისიდენტებსა და პოლიტიკოსებს, ჩინოვნიკებს უკვე თავისუფლად შეეძლოთ მიეცათ ინტერვიუები რადიოსთვის, ისე, რომ არ ჰქონოდათ დენისა და დაპატიმრების შიში.

საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებს 1960-70-იან წლებში რადიოში შეგზავნილი ჰყავდათ აგენტები. მათ შორის ცნობილი ჯაშუშები იყვნენ სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ-ის) დაზვერვის პოლკოვნიკი, ჟურნალისტი და რადიო „თავისუფლების“ რუსული განყოფილების მთავარი რედაქტორი ოლეგ ტუმანოვი [10], პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის უსაფრთხოების სამსახურის აგენტი, რადიო „თავისუფალი ევროპის“ პოლონური რედაქციის თანამშრომელი, ნიგნის „შვიდი მძიმე წელი“ ავტორი ანჯეი ჩეხოვი [11], ყოფილი ჩეხოსლოვაკიის სუკ-ის აგენტი პაველ მინარჟიკი [12], ბულგარეთის უსაფრთხოების კომიტეტის კაპიტანი ხრისან ხრისტოვი, ასევე 1972 წლიდან რადიოს დიქტორი საბჭოთა კავშირის აგენტი იური მარინი (იგი დაქორწინებული იყო ქართველ ემიგრანტზე) [13]. ქართულ რედაქციაში შეგზავნილი აგენტების შესახებ დოკუმენტური წყაროები არ არსებობს, რაც არ გამოორიცხავს ასეთი ფაქტების არსებობას.

შეგზავნილი ჯაშუშების გარდა საბჭოთა კავშირის უშიშროების სამსახური ცდილობდა რადიოს თანამშრომლების გადაბირებასაც, ამისთვის რადიოს თანამშრომლების სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებს იყენებდნენ. გადაბირებულ თანამშრომლებს ევალეობოდათ რადიოს ავტორიტეტული თანამშრომლების დისკრედიტაცია, რედაქციის წევრებს შორის უნდობლობის გაღვივება [13]. რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის თანამშრომელი ილია კუჭუხიძე (ფსევდონიმი ალექო ლორია) თავის მოგონებებში წერს, რომ ქართულ რედაქციაში უნდობლობა სუფევდა, განსაკუთრებით არ ენდობოდნენ „ახლებს¹“, „საჭირო იყო თუ არა ენას გვისწორებდნენ“ [8, 283].

ცივი ომის დასრულების, სოციალისტური ბლოკისა და სსრკ-ს

¹ ახალ ემიგრანტებს – მეორე მსოლიო ომის შემდეგ საზღვარგარეთ დარჩენილი იყოფილი სამხედრო ტყვეები

დაშლის შემდეგ აშშ-ის კონგრესში მიმდინარეობდა განხილვა რადიო „თავისუფლების“ იმ რედაქციების დაფინანსების შეზღუდვის შესახებ, რომელიც ვრცელდებოდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებსა და სოციალუტურ ქვეყნებში. შედეგად ამ რადიო რედაქციების დაფინანსება შეიზღუდა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანის ეროვნული რადიო რედაქციები დაიხურა¹ [14]. რადიო „თავისუფლების“ ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს ეროვნული რედაქციები არ დაიხურა, თუმცა შეიცვალა მიზანი: ქვეყანაში დემოკრატიის განმდტიცების და ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების ხელშეწყობა.

აშშ-ის ხელშეწყობით შექმნილი რადიოსადგურების რედაქციები, მათ შორის რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქცია, ცივი ომის დროს საინფორმაციო იარაღს წარმოადგენდა, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა და სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ. რადიოს საქმიანობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ვაცლავ ჰაველი, ლეხ ვალენსა, ადამ მიხნიკი.

დამონშებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2128, აღწერა, 1, საქმე 69.
2. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2128, არწერა 1, საქმე 60.
3. რადიო თავისუფლების ქართული რედაქციის საიუბილეო კრებული „40 წელი (1953-1993)“, მიუნხენი, 1993; დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში, რადიო „თავისუფლების“ არქივში.
4. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2128, ანაწერი 1, საქმე 79.
5. Board for International Broadcasting, https://en.wikipedia.org/wiki/Board_for_International_Broadcasting
6. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2128, ანაწერი 1, საქმე 80.
7. რადიო „თავისუფლების“ პოლიტიკური სახელმძღვანელო. და-

¹ 1993 წელს შეჩერდა მათუწყებლობა უნგრეთში, 1997 წლიდან პოლონეთში. 2004 წლიდან – ესტონეთში, ლატვიაში, სლოვაკეთში, ხორვატიაში, მონტენეგროში, ბულგარეთში, რუმინეთში, ჩეხეთში.

- მატება, იანვარი, 1970; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რადიო „თავისუფლების“ არქივი.
8. ილია კუჭუხიძე, სამაგიდო რვეულიდან, მოგონებების წიგნი, მიუნხენი, 1985.
 9. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2128, ანაწერი 1, საქმე 67.
 10. Олег Александрович Туманов – Биография, <http://pomnipro.ru/memorypage51548/biography>
 11. Анджей Чехович, Семь трудных лет, Москва, 1975.
 12. Павел Минаржик, Возвращение разведчика, 1977.
 13. Леонид Махлис, На „Свободе“ – с чистой совестью, <http://www.sovsekretno.ru/articles/id/1539/>
 14. Radio Free Europe/Radio Liberty https://en.wikipedia.org/wiki/Radio_Free_Europe/Radio_Liberty

Shorena Murusidze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Ivane Javakhishvili Institute of History and
Ethnology, Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History*

Georgian Editorial Office of radio „Liberty“ during the Cold War

Summary

After the Second World War, the inter-allied relations between the former allies overgrew into controversy and, as a result, there were formed antagonist western and socialist camps of the world. The controversy between the international relations of the United States of America and the USSR is well known as The Cold War. This war is characterized with the harsh controversy of the reinforced militarization and the ideological fighting methods.

Because of the international political situation, which was created at that time, the USA had some strategic interests in those formed groups of emigrants, which were fighting against the Bolshevik regime in the USSR. In order to have relationships with those groups, in the beginning of the Cold War, there were stirringly established committees with the name of public organizations in the USA. The state's foreign police interests were

being fulfilled by these committees. One of the courses of their work was creating wireless stations for the USSR people and for the socialist camp citizens on their mother tongues.

With the help of „the American committee fighting against the Bolshevism“, which was established in the beginning of 1951 and with the collaboration of the USSR people emigration, radio „Liberty“ was established in 1953. It aimed to destroy so called „An Iron Curtain“ and the Bolshevik regime with the help of the USSR peoples' native language broadcasts.

The first broadcasting of the Georgian Editorial Office was held on the 18th March of 1953. The Editorial Staff had a regulation named „Political Directory“. Those members of the radio staff, who stayed in emigration after the Second World War, used pseudonyms for the safety of their relatives living in Georgia. The content of a broadcast, its form and expression were of high importance.

Radio broadcasts included interviews, reportages and talks around the round table about the issues such as: the free distribution of information, the freedom of a nation and a person. As well as that, some short radio plays, literature works philosophical essays and memoirs were read in wireless broadcasts. During the Cold War, the countries of the Soviet Union and the Eastern European socialist ones, exactly with the help of the radio „Liberty“ and its broadcasts were introduced with works, which were known only for „self publications“.

Georgian Editorial Office had been collaborating with the political emigration till 1985. The broadcasts were sent to the leaders of the political emigration and to the Editorial Staffs of magazines and newspapers and their chiefs.

Listening to the broadcasts of the radio „Liberty“ regularly was impossible during the Soviet Union. A radio rate was suppressed by a special device.

Nowadays, when the Cold War belongs to the history, radio Editorial Offices and their importance are worth discussing. Radio „Liberty's“ Georgian Editorial Office and other radio stations, which were established with the help of the US, were informational weapons during the Cold War.